

შინაური საქმეები.

№ 17

ფასი ერთი რუბლი.

წლიური ფასი სამი მან.

წელიწადი მეოთხე.

სოციალ-კვირეული გაზეთი.

კვირა, 19 ივნისი, 1911 წელი.

1) ყოველ-კვირეულ გაზეთში
შინაური საქმეები
 ში. № 17). დათბადისში განსამუშავებლად სომხის გაზარდო, სომხანადის შუშის
 მადიანში. გამოცემა ყოველ თვეში ოთხი ნომერი, ბმ. ხელის მომწერლებს
 ვთხოვთ გაზეთის ფასი მთელი წლის ერთად გამოგზავნონ.
წლიური ფასი: 3 მანეთი. **ნახ. წლით:** 2 მანეთი. **მაისიდან წლის ბოლომდის**
3 მანეთი. **2** მანეთი და **10** შუბრი.
აღრესი: ქუთაისი: „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაური: 1) ვინ არის დანაშაული? 2) სი-
 ნამდვილე სხარებისა (გლადკოვიდამ). 3) ჟურნალ-
 გაზეთებიდან. 4) „ნუ გეშინია“ — თარგმანი — არხ.
 ნესტორისა. 5) შინაური მიმოხილვა — ხომელისა.
 6) კარგი უკვლევი კარგია — №. 7) სეკულური
 კითხვის შესახებ — მდ. ს. მაკარაშვილისა. 8) ჩვენი
 სამედიცინო სამართალი — ხელისა.

ვინ არის დანაშაული?

გაზ. „Кут. Жизнь“-ის № 27-ში
 დაბეჭდილი იყო რაღაც მოთხრობასავით,
 სათაურით „სდუმდა უკვდავი მსაჯული“,
 ქართულიდან რუსულად გადათარგმნი-
 ლი. მოთხრობაში ავტორს გამოჰყავს ცო-
 დვიდი სული, რომელიც უკვდავი მსა-
 ჯულის წინაშე აღარებს თავის ცოდვებს,
 მაგრამ თავს იმართლებს მით, რომ უკუ-
 ლა ის კრძნობები, რამაც აიძულა იგი
 ჩაედინა ეს ცოდვები თვით მის — უკვდავი
 მსაჯულის ნაბოძებთა და, მამასადაც, დანა-
 შაულიც იგივე. მსაჯული ვერაფერ ჰა-



სუსს ვერ აძლევს ცოდვილის და მხოლოდ ნიშნად თანხმობისა, (?) ესევე მას და ჰქონდნის, თუძცა ამის შემდეგ მაინც ვალობხეთში იტყუმრებს.

ცხადია, მოთხრობა გამომანგარიშებულია ღვთის განჩინების დასაგებობათ, იგი უწუნებს ღმერთს განგებას და ადამიანის ცოდვის მიხედვით მის ბუნებრივად ასახელებს.

ვინ იცის, რა მიხნით დასწერა ავტორმა ეს მოთხრობა? უნდოდა გაეძარტლებია ცოდვის ჩადენა, გაეთავის ფიქრები ადამიანი ზასუნის გების მიძისაგან, თუ სხვა რამ ჰქონდა სახეში? ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ მოთხრობა ცუდ გავლენის მქონე ვერას იქონიეს დაუძვარებელ მეთოდებზე, რომლებიც ირეუვიან რწმენა — არ რწმენის შუა. ცხადია აგრეთვე, რომ ავტორი თითონ დაწმუნებულია იმ აზრის სიმართლეში, რომელიც მას გაუტარებია თავის მოთხრობაში.

როგორც უნდა იყოს, ეს სტრიქონ-ნახევრიანი მოთხრობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ჩვენი მწერალი თუ არ მწერალი საზოგადოება მწერალათ არის ღვთის შეტყუებულებასთან. რა თქმა უნდა, **„мы всё учились чему рибудь и какъ нибудь“**, მაგრამ ეს ცოდნა, კომპანიაში შესწავლილი „საკონ ბოი“, საკმარისი არ არის, რომ გადასწეიტო ასეთი მძიმე საკითხი, როგორც არის საკითხი: „ვეისი ბრალია, რომ ადამიანი სცოდნავს და არის თუ არა უკანასკნელი

ზასუნის მკებელი თავის ცოდვებში“, საჭიროა საღვთო წერილისა და საღვთის მტყვე თ საგნების დაახლოებით გაცნობა და საკუთარი შრომა და ღრმისაფიქრი ალებულ საგანზე. ჩვენი ავტორის აზრი „არ ხსალია, — ძველია“ და ამიტომ არც ორიგინალურია. იმედი გვაქვს, ბ. ტაბიძეს ეს აზრი დიდი სწინა უტრიალებს თავში, რომ შრომა მაუღია ასეთ უბრალო და უმნიშვნელო მოთხრობის გადათარგმნისთვის. ისიც ეჭვ გარეშეა, რომ ბ. ტაბიძე ვერ შერიგებია იმ აზრს, თუ რათ უნდა სჯიდეს ღმერთი ადამიანს იმ გრძნობათა და სურვილთ დაკმაყოფილებისათვის, რომელნიც თვით მას აღუძრავს და ჩაუნერგავს ადამიანის ბუნებაში.

ღმერთმა ყოველივე კეთილათ შექმნა; გრძნობები და მისწრაფებანი, რომლებითაც მან დააჯილდოვა ადამიანი აგრეთვე თავი თავათ კეთილია და არც ერთი მათგანი ბიწიერებას არ შეადგენს, სანამ წრეს არ გადასცილდება, ხოლო წრეს რომ არ გადასცილდეს, ამისთვის გამჩენმა ჰკუა და გონება მოგვცა. ავიღოთ მაგ. გრძნობა წუურულისა. ეველა დამეთანხმება, რომ ეს გრძნობა სასიკეთოა და საჭირო ადამიანის სხეულისათვის, რადგან ეს უკანასკნელი საჭიროებს წუალში. მაგრამ, როცა ეს გრძნობა არაუის და კონიაკ-ლიქორების მონა გახდება, მაშინ იგი ცოდვით იქცევა, რომელიც გამოიწვევს შესაფერ სასჯელს. აგრეთვე გრძნობა მიმძილისა, აგრეთვე გრძნობა სქესობრივი ღტოლვილებისა, რაც საჭიროა ადამიანის

მოღვიძის შესახებ და გასაწვდომებლად; მაგრამ, როცა ეს გრძნობაც წრეს გადასცილდება და ძრუშებით გადაიქცევა, მაშინ იგი ბიწიერი ძეიქნება და სულიერ და ხორციელ სასჯელს გამოიწვევს. თუ ბ. ტაბიძე და მისი ნათარგმნი მხატვ მოთხრობის ორიგინალის დამწერი ამ ნაიროთხაუკვირდებიან ადამიანის ყველა გრძნობებს, ამჟამათ დაინახავენ მათ სიკეთეს, ამჟამათ მიხვდებიან, რომ უმათოთ კაცია არც კაცი იქნება, არამედ ქვა ან რომელიმე მსგავსი უსულო საგანი; ცხადათ დაინახავენ, რომ მხოლოდ წრეს გადასულიობაშია ცოდვა და არა თვით იმ გრძნობებში, რომლებიც გამჩენს ჩაუსახა ადამიანის ბუნებას. ცხოველებსაც აქვს თითქმის იგივე, ესე ვსთქვათ, ფიზიური გრძნობები, რაც ადამიანს, მაგრამ იგინი არ წარმოადგენენ მათში ბიწიერებას, და მაშასადამე, არც სასჯელს იწვევენ, რადგან ზომიერებას არ გადასცილდებიან. იგინი იმ თომასე სძენ და ჭამენ, რაც საჭიროა და აუცილებელი. გონიერობას მოკლებულნი, იგინი სამაგიეროთ განსაკუთრებული აღფოთი არიან დასახუქრებულნი და მით არ გადასცილდებიან ბუნების მოთხოვნილებას. ადამიანის მოთხოვნილებას კი საზღვარი არ აქვს, რადგან მისი დანიშნულება უმაღლეს განვითარებადის მიადვიოს, მაგრამ მას აქვს გონება, რომლის შემწეობით აღვირს უნდა ანხამდეს თავის ზოგიერთ შემთხვევაში უზომო და ბიწიერ სურვილებს.

აქედან ცხადათ ხანს თუ ვინ არის ბრალდებული ადამიანის სულიერ სასჯელში, რომელსედაც კვითითებს საღვთო განცხადება, „უკვდავი მსაჯული“ თუ თვით ადამიანი, რომელიც ამ „უკვდავ მსაჯულისაგან“ დადებულ კანონებს არღვევს, რომელიც ზომიერებას სცილდება და იღრჩობა ვნებათა დეღვანში?



სინამდვილე სახარებისა.

(გლადკოვიღან).

ესე უოკელი დაიწერა, რათა გრწმენეს, რამეთუ იესო არს ქრისტი, ძე ღვთისა. (იო. XX 31).

ვაგრძელება *)

როცა ამ მოთხრობებს კითხულობ, რადაც საწყენათ გიჩნება ასეთი მცირემოწმუნება მოციქულებისა თავის მოძღვრის ღვი აუბრობაში; მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობ ამ მცირემოწმუნებაზე, მით უფრო რწმუნდება, რომ ასეთი იყო ნება ღვთისა. დიან, ღვთის ნება იყო, რათა მოციქულებს შეგნებული რწმენა ჭქონოდათ იმისა, რომ იესო ქრისტი არის ძე ღვთისა, მისი ნება იყო, რომ მოციქულები თავისუფალნი უოფილაიუენ ბრალდებისაგან ბრმა მოწმუნებაში, მოუფიქრებლობაში და ოცნებაში: იმათ ხომ მთელ ჭვევანსე უნდა მოუტინათ თავისი საწმუნება, მათი საწმუნება ხომ კლდესაგით მტკიცე უნდა უოფილაიუ და ამ კლდესე აღმენებულიყო კვლისა

*) იხ. „ზინ. საქმ.“ № 16.

ჭრისტესი! ახ რით ვამართლებთ ჩვენ მოციქულე-

ბის მთელ მცირედ მოწმუნებებს, ყველა ეპიკოსს.
როცა მოციქულები ასეთ საწყენი თქვას: ხ-
ნო საბუთებით დაწმუნდენ, რომ იესო ქრისტი
ჭეშმარიტად აღდგა არა თუ მხოლოდ სულით,
ინამუდ ხორციითაც, — მხოლოდ მაშინ გაიხსნა მახმ-
დის გაქვავებული გული, — მხოლოდ მაშინ შეიკრეს
უგუნურება რაბინთა მოძღვრებისა შესახებ შესისაის
საუკუნო ქვეყნიურ მეფობისა და დამორჩილებისა
ქვეშე ფეხთა ასრავლისათა უოკეთა ტომთა ქვეყნი-
სათა, — მხოლოდ მაშინ გაიკეს ჭეშმარიტი აზრი და
მიმშენებლობა ქრისტიანთა მთელი მოძღვრებისა და დარ-
წმუნდენ, რომ იგი არის ნამდვილი აღთქმული
მესიისა ძე ღვთისა. ასეთი მტკიცე რეზონანსი ქა,
საწმუნებით გამოვიდენ იგინი საქადგობათ.

თორმედა თორმეტი დღის უკან შემდეგ
იესო ქრისტეს ჭაბრძმისა და სიკვდილისა, მოც.
ბეტრე საქვერთო ქადაგება იერუსალიმში მის
მკვდრეთით აღდგომას და ამ ამბის დასამტკიცე-
ბლათ მოწმეთ მოჭყვად ყველა მოციქულები: ესე
იესო აღადგინა ღმერთმა, რომლის ჩვენ ყველა
მოწამე ვართ. (საქ. II, 32). ამ ქადაგებამ
შემაძწუნებელი შთაბეჭდალება მოახდინა მისენე
ლებზე, რომელთა შორის, უკვლად, ისინიც
იყვნენ, ვინც ცოტა ხნის წინეთ უყიროდენ ზი-
ლასტეს — „ფარსავკ ებე“-ო! მაშინვე სამათსამ-
დე რეცი მოიქცა და იწმუნა ქრისტი (საქ. II,
41).

ბეტრეს ასეთ ქადაგებას, ასეთ შირდაზირ
ბრადგებას ებრავლ ხალხის ხელმძღვანელებისა
შესისას სიკვდილში უნდა შეეშფოთება მღვდელ-
მთავარნი და ფარისევლები. თუ ბეტრე და სხვა
მოციქულები, რომლებიც მოწმეთ მოჭყვას მას, მა-
ტყუარება იყვნენ, უნდა მაშინვე ემხლებათ იგინი
სიცრურეში, საფლავი იესოსი კარგით იცოდენ, სე
იყო. თუ მართლად იგი არ აღმდგარა, თუ მისი
გვამი ისევ საფლავში ესვენა, საკმარისი იყო წა-
ყვანათ ეს ამბადენ მოჭყვული ხალხი საფლავზე
და გზებებით გვამი იესოსი, რომ გამოკამკრ-
ვებით სიცრურე მაგრამ ისინი სდუმენ, სდუმ-
ლენ, რადგან იცნენ, რომ საფლავი ცარიელია. მა-
გრამ სდდ არის გვამი იესოსი? თუ იგი მოციქუ-
ლებმა მოიხარეს, საჭირო იყო მაშინვე გაეწვიათ

ისინი სამართალში, გაემტყუნებათ მცვლელის
ჩვენებით და მით წაურომია, ბეტრესთვის საშეალება
გმოწმებია მოციქულები. მაგრამ მკვლელთა ამასაც
კერ ბედავენ, რადგან დაწმუნებული არ არიან,
რომ მკვლელი მხარის დაუტყვენ მათ ცილისწამე-
ბას სამსჯავროს წინაშე. მაშ სდდა არის გვამი
იესოსი, თუ საფლავი ცარიელია, და თუ იგი მო-
ციქულებს არ მოუხარავს? სდდ არის?

ამ კითხვებს არ შეეძლო არ აელეკება სი-
ხედრიონის წევრები. ყველაზე უწინ მათ უნდა
გამოეკვლიათ იგინი, რადგან იგინი იყვნენ ურად-
თა სელმძღვანელნი ზნეობრივ და სარწმუნოებრივ
საქმეებში; მათ უნდა ეგოთ ზასუხი იესო ქრისტეს
დადრთლ სისხლის შესახებაც; და იგინი, რა თქმა
უნდა, არ გაუშვებდენ, რომ ბეჭათად, თუმცა ჩუ-
მათ, არ გამოეძიებათ მკვლელის სიტყვების სი-
მართლ-სიმტყუხე შესახებ ქრისტიანთა აღდგომისა.
ძელი დასაჭყრებელია, რომ მათ შეემოწმებოდა
დასიტყვებს ეს სიტყვები; სიმართლესთან უფრო
ახლოა; ვიფიქროთ, რომ იგინი ზირდათ მივი-
დენ (თუმცა ყველა ერთად ვა არა) საფლავზე და
სასესი იგი დაცარიელებულია. ბეჭათ გამოძიების
შემდეგ მათ არ შეეძლოთ, არ დაწმუნებულიყვენ
რომ ქრისტი ნამდვილათ აღდგა მკვდრეთით. მა-
გრამ რატომ ასე ურცხვად სდუმდენ იგინი? რათ
საქვერთოთ არ აღითეს თავის მძიმე შეროდება და
მათ არ გადაარჩინეს ხალხი მომავალ უბედურებასა?

მატომ რომ ამ კარყენილ აღმანათავის
ქვეყნიური სიკეთე უძვირფასესი იყო ზენიურზე;
ამათ იმედა არ ჭქონდათ, სიხანულიათ მოკვებით
თავის მძიმე ცოდვის შენდობა; ამასთანვე ამათ
მშენიკრად ესმოდათ, რომ სახალხო აღარება თა-
ვის დახმავლობისა გამოიწვევდა მათ ქვით ჩაქალ-
ვას იმ ხალხისგან, რომელიც მათ მოტყუებით ჩა-
თრავს ამ ბოროტმოქმედებაში. ისინი შემობენ
თავის სიციოცხლისათვის და სდუმდენ, რადგან
ემინათ ხალხის შურისძიებისა; იგინი უბედურნი
არიან გამოკლონ ბეტრეს, რომლის ქადაგება
მკვდრეთით აღდგომილ ქრისტეს შესახებ აურაც-
ხელ ხალხს იხიდავს; მაგრამ ყვარო და ცარიელი
საფლავი მოსვენებას არ აძლევენ მათ; დიდო სია-
მოკებით დაივიწყებდენ იგინი კვარტმელის სასე-
ლაც, მაგრამ კერ ასერსებენ: მისი სსენება იხრდე-

ბა ხალხში, მისი სახელით პეტრემ გადაეცა განკურნა შობადგან კუნტი, ხალხი ისწრაფვის ნათლისღებას და აღიარებს აღდგომილ ქრისტეს... და აი მისი მკვლელები უძლურნი გახდნენ ეთქვათ რამე დაჭერილ პეტრეს და იოანესთვის წინააღმდეგ აღდგომისა და იკმარეს მხოლოდ ბრძანება, რომ ამიერიდან არა ეთქვათ რა და არა ესწავლებათ რა ქრისტეს სახელით (საქ. IV, 18).

ამ ნაირათ უსაფუძლო და უნაყოფო რჩება ყოველი ციფლობა ქრისტეს აღდგომის წინააღმდეგ; მათი განხილა ვი ცხად ვყოფს, რომ ეს სასწაული ნამდვილათ მოხდა.

ბევრთად დაბეჭდილა საფლავი იესოს გავით, რომელიც შესაძებ დღეს ცარიელი გამოდგა, სინედრონის ციფს წამება მოციქულთაგან იესოს გავით მომხარვის შესახებ, რომელიც მთელ თავის ურცხვობას და სიგრუნესთან მოწმობს, რომ ისაფლავი ნამდვილათ დაცარიელდა, — ურწმუნობა მოციქულებისა შესისის აღდგომის შესახებ, რომელიც მათი აზრით არც კი უნდა მომკვდარიყო, — ურწმუნობა მის აღდგომისაში მამხარვ კი, როცა ეს გარემობა მენელსახსებულ, დედებმა აუწყეს მათ, იგივე ურწმუნობა მათი აღდგომილ ქრისტეს გამოცხადების დროს, მოთხოვნა მასგან მისი აღდგომის დამტკიცებულ ხიდულ საბუთებისა, — საკუთარ ხელებით განხილვა იესოს სამსკვალთა, საჭმლის მიღება იესოსგან მათ წინაშე, — შემდეგი გამოცხადებანი ქრისტესნი და მისი ამდლები, — შეურყეველი რწმენა მოციქულებისა, რომ გამოცხადებული ქრისტე არის ნამდვილი მკვდრითი აღდგომილი მათი მოძღვარი, გაბედული და შეუპოვარი ყოველი დაბრუნების წინააღმდეგ მათი ქადაგება ამ სასწაულის შესახებ, გამოცხადება ქრისტესი საკლე მდებარეობის მიმართ, — და, ბოლოს, სრული უძლურება სინედრონისა ქრისტეს აღდგომის უარის უოფის საქმეში წინააღმდეგ მოციქულებისა, რომლებიც უკვლავს დადაბდენ, რომ ქრისტე აღდგა... უკვლა ეს გავითულებს ჩვენს მტკიცე რწმენით ვსთქვათ: დაიხ, ჭეშმარიტად აღდგა!

ამ ნაირათ თუ უმთავრესი სასწაული — აღდგომა ქრისტესი — დამტკიცდა, თავისთავად ირდე

გა ურწმუნოთა აზრი შესახებ სასწაულების შეუძლებლობის საზოგადოთ. ასევე მიხეზით ირდევა ყოველი უარყოფა სახარების სინამდვილის იმ საფუძვლით, რომ სასწაული შეუძლებელია.

(შემდეგი იქნება)



ნ ა რ კ ვ ე ვ ი .

(ყურანდა-გაზეთებიდან).

მინისტრთა საბჭოს ახლო სხდომაზე განხილულ იქნება ვანსაკუთრებულ საუწყებათა შორისო კომისიის, რომელსაც გენ. ლეშა თავმჯდომარეობდა, — პროექტი სასწავლებლებში და სასწავლებელ გარეშე სამხედრო სამსახურისთვის მომზადების შესახებ და აგრეთვე ამ მომზადების პროგრამის პროექტი.

კომისიის აზრით სამხედრო სამსახურში შესვლამდე ამ სამსახურისთვის მომზადება მოზარდ თაობისა (როგორც შკოლაში ისე შკოლას გარეშე) მიტომბა საჭირო, რომ თვითეულმა ქვეშევრდომმა საუკეთესოთ აღასრულოს თავის სამართო მოვალეობა მეფისა და მამულის დაცვისა.

სამხედრო სამსახურისთვის მომზადება უნდა გამოიხატოს ა) სარწმუნოების განმტკიცებასა, მეფისა და მამულის სიყვარულსა, კანონიერების და წესიერების პატივისცემისა და სამხედრო დისციპლინის საფუძვლების შესწავლაში; ბ) სამხედრო სამსახურისთვის მომზადებასა და ფიზიკურ განვითარებაში; გ) ისეთ თვისებათა აღზრდაში, რომლებიც აუცილებელი საჭირონი არიან რიგში მებრძოლთათვის მინდვრათ.

სამხედრო სამსახურისთვის მომზადება შემოღებული უნდა იქნეს სავალდებულო სავნათ ყველა ჯურის დაბალსა და საშუალ სასწავლებლებში, რომელ უწყებასაც უნდა გეუთ-

ენოდენ და რა სახელსაც უნდა ატარებდენ იგინი; ამასთანავე თითოეულ ჯგუფისა ან კლასისათვის ამ საგნის შესაწავლათ გადადებულ უნდა იქმნეს კვირაში ორი საათი.

სამხედრო სამსახურისათვის მზადება უნდა სწარმოებდეს თანახმათ სამხედრო მინისტრის დამტკიცებულ პროგრამისა.

მოხარდ თაობის სამხედრო სამსახურის მომზადებისა და მისი სამხედრო ვაბეღულების განვითარებისა და სამხედრო დისციპლინის აღზრდისათვის შესაძლებელია შესდგეს ხოლმე დრუჟინები ან ჯგუფები იმ ახალგაზდათა, რომელნიც არ სწავლობენ შკოლებში. ასეთ ჯგუფებში მიიღება ყველა რუსის ქვეშევრდომი ახალგაზდა არა უმეტეს 15 წლისა მხოლოდ მშობლებისა ან აპეკუნების ნებართვით. ამათი მომზადება სამხედრო სამსახურისათვის სწარმოებს იმავე პროგრამით, როგორც შკოლაში მოსწავლე ახალგაზდობისა.

ამ საქმის წესიერ მსვლელობას თვალყურს ადევნებენ ჯარის უფროსნი იმ ადგილებში სადაც ჯარი სდგას, ხოლო სადაც ჯარი არ სდგას ეს ევალება სამხედრო ბეგრის უფროსებს (войнские начальники).

(Россиа).

ახალი სამხედრო გადასახადი.

თანახმათ 1909 წ. სახელმწიფო სათათბიროს წევრთაგან გამოთქმულ სურვილისა შესახებ განსაკუთრებულ სამხედრო გადასახადის შემოღებისა იმ პირობათ, რომლებიც თავისუფალი რჩებიან სამხედრო სამსახურისაგან, ფინანსთა სამინისტროსთან შემდგარი იყო განსაკუთრებული კომისია ფინანსთა მინისტრის ამხანაგის ნ. ნ. პოკროვის თაემჯდომარეობით, რომელმაც შეიმუშავა ძირითადი საფუძვლები ამ გადასახადის დებულებისა.

კომისიის წევრების უმრავლესობის აზრით მდგომარე ხანა წარმოადგენს საუკეთესო დროს რომ ეს გადასახადი ყველა გადამხთვლებზე თანასწორათ იქნეს გაწერილი. სამხედრო გადასახადი უნდა დაედგას ყველას, ვინც კი რა-

მელიმე მიზეზის გამო თავისუფალი რჩება სამხედრო სამსახურისაგან. მხოლოდ მუშაობისთვის უვარგისობას შეუძლია დაიფაროს ბეგრის გადახდისაგან. გადასახადის ვადა უნდა განსაზღვრული იქნეს ოთხი წლით, გადასახადის რაოდენობა—6 მანეთია, რაც ოთხი წლის განმავლობაში შეადგენს 24 მანეთს. წინდაწინ ანგარიშის მიხედვით ეს სამხედრო გადასახადი მთელ სახელმწიფოში შემოიტანს 16—17 მილიონ მანეთს ყოველ წლივ. უპირატესი მიზანი ამ სამხედრო გადასახადისა იქნება სახელმწიფო ხაზინის საშუალების გადიდება იმ ხარჯების დასაფარავათ, რომელიც გავა ჯარის კაცთა და მათ ოჯახების პენსიით უზრუნველყოფისათვის.

მინისტრთა საბჭომ, 2 ივნისის სხდომაზე იქონია მსჯელობა კომისიის მოხსენების შესახებ და მხარი დაუჭირა უმრავლესობის აზრს და მიანდო ფინანსთა მინისტრს შეიტანოს საკანონმდებლო დაწესებულებაში შემუშავებული კანონ-პროექტი იმ საფუძვლებზე, რომელიც გამოთქმულია კომისიის წევრების უმრავლესობის მიერ.

ლ. ნ. ტოლსტოის ქალმა აღექსანდრა ლეონის ასულმა მიმართა გაზეთებს შემდეგი წერილით:

„მამაჩემის ლ. ნიკოლოზის ძის გულითადი სურვილი იყო, რომ მისი თხზულებების გამოცემა ყველა მსურველს შესძლებოდა. განსაკუთრებით სამძიმო იყო მისთვის ის, რომ მან ვერ მოახერხა ეს იმ თხზულებების შესახებ, რომლებიც დაწერილია 1881 წლამდის, რომელთა დაუბრკოლებლათ გამოცემა, მისი აზრით, სასურველი იქნებოდა ხალხის ინტერესებისათვის. შეძლევს რა შეძლება ჯერ-ჯერობით ცოტათ მაინც აეასრულო მამაჩემის ნება, შე ბედნიერი ვარ, დღეს საყოველთაოთ ვაუწყო, რომ ნებას ვაძლევ გადმობეჭდონ თავისუფლათ და უსასყიდლოთ ხოლმე შემდეგი მისი თხზულებები: 1) პედაგოგიური წერილები, რომლებიც დღეს იბეჭდება

რუსულ გამოცემის მეოთხე ტომში; 2) ახალი ანბანი 3) საშკოლო ასაკის ყრმათათვის საკითხავი წიგნები; 4) მოთხრობა „პოლიკუშკა“ და 5) მოთხრობა „სამი სიკვდილი“ ვთხოვ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი. ალექსანდრა ტოლსტოის ასული.

უწ. სინოდს განუხილავს პროექტი შესახებ ქალაქის მართლმადიდებელ სამღვდლოების ჯამაგირით უზრუნველყოფისა. თავმჯდომარეობდა მიტროპოლიტი ფლაბიანე. სინოდმა მოიწონა პროექტი და და-დგინა მისი სახ. სათათბიროში განსახილველათ წარდგენა.

(3. P.)

საეკლესიო კრების თვით სასტიკი დამცველი უ. ნ. ღურგოვოვი კი ექვში შესულა, შესაძლებელია თუ არა დღევანდელ მდგომარეობაში კრების მოწვევა, ან სასარგებლო იქნება თუ არა იგი.

კ. პ. პობედონოსცევის 25 წლის დიქტატორობის შემდეგ არ ვიცით, ვიზე შევიჩერდეთ.

სულის სიბნელე იქიდან მოდის, საიდანაც ნათელი ეფინებოდა მთელ რუსეთს და იპყრობდა არა თუ მხოლოდ მართლმადიდებელ აღმოსავლეთს, არამედ უცხო მორწმუნე დასავლეთსაც. კარიერისტებში და ქვრივებში კ. პ. პობედონოსცევი იპოვა საერო მთავრობის მორჩილი მონები, ფულის მოტრფიალენი, მაგრამ თვით ეკლესიამ დაჰკარგა ღვთის საქმის მოქმედნი, ჰემმარიტნი მოშურნენი და მებრძოლნი ეკლესიისათვის, რომელთაც სული თვისი უნდა დაედვათ მისთვის.

განა ამის შემდეგ კიდევ შესძლება ფიქრი და ოცნება კრებაზე!

(3. P.)

მინისტრ კასოს თავმჯდომარეობით არსებულმა განსაკუთრებულმა საბჭომ შესახებ უმაღლეს სასწავლებელთა დაარსებისა დაასრუ-

ლა თავის მუშაობა. დაადგინეს, გაიხსნას სამეურნეო ინსტიტუტი ქალ. ვორონეჟში, კომერციული და სამეურნეო ინსტიტუტი ქ. სპაში, სამთო ინსტიტუტი ეკატერინოდარში, მედიკური ფაკულტეტი დონის როსტოვში. საკითხი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისა იმ ქალაქებში, რომლებმაც ამაზე სურვილი განაცხადეს ღია დასტოვეს.

ამ ნაირათ თფილისის უმაღლესი სასწავლებლის დაარსება არ შესდგა.

მემარცხენე გაზეთების კორეზზე შესახებ სასულიერო ღირსება-ახდელ პირთა უფლებების შეზღუდვის წინააღმდეგ კანონ პროექტისა, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა, როგორც ვიცით არ დაამტკიცა, საბლერს შემდეგი ულაპარაკნია „Новое Время“-ს თანამშრომლისათვის:

„უნდა გამოეტყდე, ძალიან მაკვირვებს ზოგიერთი გაზეთები, რომლებსაც უყვართ ისეთი აზრებისა და სურვილების მიწერა ადამიანისათვის, რომლებზედაც იგი ძრიელ შორს არის, — აი მე, მაგალითად, მაწერენ სურვილს დავიცვა ხელუხლებლად ყველა ის კანონები, რომლებიც ასე თუ ისე ზღუდავენ სამღვდლო პირთა ხარისხის ნებით ან უნებლიეთ ახდას. გარნა არ უნდა იუარისტობა, როგორც მე ვარ, რომ გესმოდეს, რომ მხოლოდ ის კანონებია კარგი, რომლებიც კვალდაკვალ მისდევნენ ცხოვრების მოთხოვნილებებს და ანგარიშს უწევენ თანამედროვე მოთხოვნილებებს და საქიროებას.

მართალია, მე მოჩქარებულ კანონ-მდებლობის მომხრე არა ვარ და ღრმად მწამს, რომ კანონები ღრმა მოფიქრების შედეგები უნდა იყვნენ და არა წუთიერი გატაცებისა, თუნდაც ასეთი გატაცება არსებითად კეთილი განძრახვით იყოს გამოწვეული. მაგრამ მეორე მხრით მე მომხრე არა ვარ იმ კანონების ან ცალკე სტატიების სავალდებულო შენახვისა, რომლებიც უკვე აღარ შეესაბამებიათ თანამედროვე ცხოვრების პირობებს. ხოლო ასეთი იურიდიუ-

ლი არხაიზმება (სიძველენი) ყოფილ საეკლესიო მსახურებაზე ცოტა არ არის. აიღეთ, მაგალითად, კანონი, რომლითაც ყოფილ სასულიერო პირთ ეკრძალებათ სატახტო ქალაქში შემოსვლა. რა თქმა უნდა, ამ აკრძალვას აზრი ჰქონდა, როცა სატახტო ქალაქში ფურგონებით შემოდოდნ და როცა გზატკეცილებზე დარაჯები იდგნ და ამოწმებდნ მომსვლელების პასპორტებს. ჩვენ დროში კი, როცა დღე და ღამე დის ნაკადული მომსვლელთა და წამსვლელთა, როცა მატარებლები, ორთქლივალები, ომნიბუსები, ტრამვაები მხოლოდ იმას შვრებიან, რომ მოჰკავთ და მოჰყავთ ახალ ახალი პარტია სტუმართა, განა ამ კანონს აქვს რაიმე ფაქტიური მნიშვნელობა? მომავალში, როცა საპასპორტო კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს და პასპორტები მოისპოს, ეს განკარგულება სულ აზრ დაკარგული შეიქნება. მითხარით, შეიძლება ასეთი არხაიზმის მომხრე ვიყო მე? და რომ იგინი, ვინც მე მაწერენ ასეთ საქციელს, გადიკითხავდნ სახელმწ. საბჭოში წარმოთქმულ ჩემ სიტყვებს ამის თაობაზე, დაინახვენ, რომ მე სრულიად მომხრე არა ვარ ამ კანონის ხელშეუხებლობისა. მეტს ვიტყვი: მე ვთხოვლობ ამ კანონების გადახედვას და იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს მოთხოვნა სრულიად სერიოზულია და არ ეკუთვნის კეთილ სურვილთა მხარეს, შემიძლია გადმოგკეთ, რომ ამ ზაფხულის სესიაშივე უწ. სინოდში, თანახმით ჩემი წინადადებისა, შეუდგებიან კანონ-პროექტის შედგენას შესახებ ყოფილ მღვდელ-მსახურთა ნაცვლად იმ კანონ პროექტისა ამ საგნისვე შესახებ, რომელიც შეიმუშავა და გაატარა სახელ. სათათბირომ და საბჭომ.

— რა გზით უნდა გატარდეს ეს კანონ-პროექტი?

— ე. ი. თქვენ გინდათ გაიგოთ ასცდებო ეს კანონ-პროექტი სახ. სათათბიროს და სახ. საბჭოს თუ არა?

— დიახ.

— იცით რა, მე ვუყუარებ ამ საკითხს ასე: კანონი ყოფილ მღვდელმსახურებზე თავდაპირ-

ველათ მართლმადიდებელ ეკლესიის შეეხება, ამიტომ თაობა და პირველი შემუშავება, უნდა მიეკუთნოს უწ. სინოდს. მაგრამ, რადგან ყოფილა მღვდელმსახურნი ღირსების ახდის შემდეგ გადადიან რუსეთის მოქალაქეთა წრეში, ამიტომ დაბოლოებითი გადახედვა და განხილვა სინოდალურ კანონ პროექტისა ეკუთვნის უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებებს. ამის მიხედვით კანონ-პროექტს წესისაებრ ჯერ მინისტრთა საბჭოში შევიტან, ხოლო შემდეგ იგი გადავა სახ. სათათბიროში და სახ. საბჭოში. აქედან თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ თუ რამდენათ წინააღმდეგი ვარ მე ამ დაწესებულებებისა — ღიმილით დაათვა ვ. კ. თავის სიტყვა.

რუსულ გაზ. „III и Ж“-ში ვკითხულობთ:

1909/10 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ანგარიშით ამ საზოგადოებას ჰყოლებია 1909 წელში 580 წევრი; 1910—253 წევრი. საანგარიშო წელიწადში საზოგადოებას ჰქონია 13 განყოფილება.

შკოლების რიცხვი 1909 წ. — 13, 1910 წელს 12; ყველა ამ შკოლებში 1909 სასწავლო წლის ბოლოს ყოფილა 1128, ხოლო სწავლა დაუმთავრებია 97; 1910 სასწ. წლ. ბოლოს ყოფილა 514 (?), სწავლა დაუმთავრებია 81. საზოგადოებას უნდოდა საკვიროსკოლებისა და სამასწავლებლო კორსების გახსნა, მაგრამ ხელი შეუშალა უსაშკალობამ და პოლიციის ნებადაურთველობამ ქართულ ენაზე სწავლების შესახებ. არსებულ შკოლებში სწავლა აღზრდის საქმე ბევრს რასმე საქიროებს კიდევ. უსახსრობის გამო საზოგადოება ვერ აძლევდა თავის დროზე მასწავლებლებს ჯამაგირს, ამიტომ ბევრი მათგანი იძულებული გახდა შუა წელიწადში თავი დაენებებიათ და სამინისტრო სკოლებში გადასულიყვნენ. იგივე ნივთიერი უსახსრობა მეტათ უშლიდა ხელს ლექციების კითხვას, ახალი სკოლებისა

და სამკითხველოების დაარსებას. საზოგადო
გასავალი საზოგადოებისა 1909 წ. უდრის
27,213 მან. 1910 წ. — 28,000 მან. შემოსა-
ვალი 1909 წ. ყოფილა 24,897, ხოლო 1910
წ. 30,333.

რედაქცია ამ ცნობებს რუსულ გაზეთ-
ბადას უნდა ჰქრეფდეს (!).



„ნ უ გ ე შ ი ნ ი ა!..“

(რუსულიდან)

როცა ჩვენ თანამედროვე ცხოვრებას თვალ-
ყურს ვადევნებ და ვიკლევ განსაკუთრე-
ბით ახალგაზრდათა მისწრაფებას, რომელთაც
სურთ იპოვონ განმარტება მამულებელი საკით-
ხებისა და ცხოვრების ყოველ გვარ გამოცანისა,
განსაკუთრებით ჩვენი დროის ლიტერატურაში,
მაშინ მე თავდაუქერლად მენანება ეს წმიდა,
კეთილი აღძრა და წინააღმდეგ ჩვენი დროის
სულიერ სიღატაკისა და მის ქკუა ნაკლუევან
წარმომადგენლებისა, გამახსენდება პირველ
ყოვლასა მეტად მარტივი, სასულიერო პოე-
ზიით სავსე ცხოვრება წმიდანებისა, და მერმე
მთელი წყება ძველთა თქმულებათა, რომელ-
ნიც, როგორც ძვირფასი მარგალიტები, გა-
ფანტული არიან შორეულ აღმოსავლეთის ლი-
ტერატურაში.

როცა ზემოაღნიშნულ ქეშმარიტებისადმი
მისწრაფებას, სიმართლის გულწრფელ ძებნას
ვადარებ იმ უპოვარებასთან, იმ სიგლახაკეს-
თან, რომელსაც გვაძლევს ჩვენ თანამედროვე
ცხოვრება, — ზნეობის და სოციალურ ეთიკის
იმ გათახსირებასთან, რომლითაც სავსეა ჩვენი
აღმზრდელ — განმანათლებელი ლიტერატურა,
მე გული მტკივა ამ კეთილ, კარგ, გაუფუქე-
ბელ ჰველევართათვის.

მე მინდა ვიტყო მათი უდროვით და-
ღუპვის გამო.

მე მინდა ვსთხოვო უზენაეს შემოქმედს,
რომ მან მომკეს მე ისეთი ხმა, რომელსაც
შეეძლოს სძლიოს ყოველ სივრცეს და, განსა-
კუთრებით, იმათ სულში განვლოს, ვისაც
ესაქიროება და ვისთვისაც სასარგებლო იქნება
ჩემი მოწოდება. და ჩვეულებრივად მე ვათავებ
მით, რომ ჩემი მწუხარებით მოვიდრეკ მუხლს
ღვთის წინაშე და ვსთხოვ მას, რომ მან თვი-
თონ გამოუცხადოს ამ უბრალოთა და უგუნურ-
თა ის, რაც დაფარა მენიერთა და ბრძენთაგან...

რა კარგი იქნებოდა, თუ რომ ამ სიმა-
რთლის მძებნელთ, მიეცემოდეს თვით ეს სი-
მართლე. თუ რომ თვით ეს სიმართლის მძებ-
ნელნი არ იყვნენ გარშემოცულნი სიკრუვის,
სიფერაგე — მზაკვრობის, მიუხდომლობის და სი-
ყალობის ვიწრო რგოლით და გაშმაგებულ
მოუთმენლობით იმ კაცთა, რომლებიც, რო-
გორც მარჯვე ჯამბაზები, პირად მიზნისა გა-
მო მიმოაგდებენ, ათამაშებენ, ავარჯიშებენ ამ
ახალგაზრდა სულებს.

თუ რომ მათ არ ეშინოდეთ ცრუ სირ-
ცხილსა, რომ უკან ჩამორჩენა არ დასწამონ,
ისინი უზომო სიმდიდრეს შეიძენდენ იმ საკვირ-
ველ სიწრფელით სავსე პასუხებში, რომლითაც
სავსეა ჩვენი სასულიერო ლიტერატურა და
ისინი იქნებოდენ სრულიად დაკმაყოფილებულ-
ნი და არაფერ საუკეთესოს არ დაუწყებდენ
ძებნას.

მაგრამ, ვაი რომ ბევრნი, ბევრნი მათგა-
ნი ხდებიან მსხვერპლად სატანას მიერ მოხერ-
ხებულად გამბულ ბადისა, და მხოლოდ შემ-
დკომ მრავალი წლის ტანჯვა — წვალების გა-
მოცდისა მიუცილებლად იგებენ მას რაც იმათ
უნდა გაეგოთ თავდაპიველად, ხოლო ბევრი
მათგანი შეცდომით აღრჩეულ გზის სიძნელი-
სა გამო იღუპება. სამწუხაროდ ეს საბედის-
წერო საფრხე — განსაცდელი კაცობრიობის
ცხოვრებაში ყოველთვის იყო, მაგრამ წინეთ
ისე მოხერხებულად არ იყო გამბული ბადე,
ისე არ იყო მორთულ — მოწყობილი მგელთა
ორმოები, როგორც ეხლა

18... წელს ჩვენი ქვეყნის განაპირზე მყოფობის დროს მე გავიგონე შემდეგი ფრიად საინტერესო თქმულება.

ერთ ოჯახში, რომელიც, ცხადია, ძლიერ წააგავდა თანამედროვე ოჯახებს, არ აღიარებდნენ არავითარ რჯულს, გარდა თავის საკუთარ ძლიერების რწმენისა, სწამდათ მართო კაცის ძლიერება.

ამ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ახლგაზრდა ქაბუკი.

მშობლების უარყოფითი მიმართულებამ დედის რძესთან ერთად გადასცა მას ყოველივე, რაც ამ მიმართულებას შეესაბამებოდა.

ქაბუკი გამოვიდა ცხოვრებაში ღრმა და მტკიცე რწმენით თავის საკუთარ „მე“—სა, და მასში პოულობდა მთელ თავის ძლიერებას, მთელ თავის ცხოვრების გეგმა და მასზედ აშენებდა მთელ თავის ცხოვრების მიმართულების იდეალს.

და მართლაც, თუ დაუკვირდებოდი მის ზნეობრივ მხარეს, გავაკვირებდა მისი მაღალი იდეები, მაღალი ზნეობა, და სიწმინდე მისწრაფებისა.

ხოლო მისი რწმენა თავის საკუთარ „მე“—ს შეურყვევლობაში სრულიად ანთავისუფლებდა მას ყოველ გვარ შიშისაგან და ყველა, ვინც კი უკვირდებოდა ამ ქაბუკს, ყველა, ვინც კი რაოდენიმედ თვალ ყურს ადევნებდა მის სულიერ ზრდას და ზნეობრივ მისწრაფებას, არავითარი ეჭვი არ ჩნებოდა იმაში, რომ ეს ქაბუკი, როგორც კლდე, იქნება მტკიცე და შეურყვეველი თავის მომხიბლავ ზნეობრივ შემძლებელობაში.

მართლაც ეგრე იყო იმ დრომდე, სანამ მისი მშობლები ცოცხალნი იყვნენ, სანამ სიმდიდრე და მატერიალური სისრულე არ აყენებდა მას პირისპირ ცხოვრებასთან. (ე. ი. სანამ უზრუნველად ჰქონდა ყველაფერი).

მაგრამ საჭირო იყო მომხდარიყო ასეთი უბედურება.

მშობლების სიკვდილის შემდგომ ბევრ დროს არ გაუვლია, ქაბუკის სამშობლოს და-

ეცნენ მტრები, წაართვეს მას ყოველი სიმდიდრე, ხოლო ის თვითონ, როგორც ახალგაზრდა მძლავრი მამაკაცი, გაყიდეს მონათ მოსულ ქვეყანაში.

ის საცოდავი ქაბუკი ერბაშა ჩავარდა ეგეთ პირობებში, რომ მან თან და თან ერთი მეორის შემდგომ დაკარგა თავისი საუკეთესო თვისებანი.

ხოლო რა კი ისინი დაკარგა, სრულიად გაუქრა რწმენა თავის პირად შემძლებლობისა, თავის საკუთარ „მე“—სი.

ბოლოს იქამდინ მივიდა, საქმე, რომ მისმა ახალგაზრდა კერპითაყვანისმცემელ ქალბატონმა, რომელმაც იყიდა ის გაიხადა თავის აღვირ წახსნილ გულის თქმის სამუდამო დამაკმაყოფილებლად. ამას მიემატა კიდევ სხვა ბიწიერებანი, და ბუნებით ზნეობრივმა ახალგაზრდა კაცმა, როცა ის ჩაუკვიდებოდა თავის შინაგან ცხოვრებას, სრულიად აღარ იცოდა, რა-ექმნა, რა მოეგვარებია, სად დაკარგულიყო.

და აი ერთ მშვენიერ დროს, ღამით გვიან, გაჭირვებულმა თავისი ასეთი უნუგეშო მდგომარეობით, გადაწყვიტა გაქცეულიყო თავის ქალბატონის სახლიდან, ჩავარდნილ იყო იქვე მახლობელ მდინარის ზვიტებში და მოელო ბოლო თავის ტანჯულ სიცოცხლისათვის. ასეც მოიქცა.

იმ დროს, როცა მისი მბრძანებელი ქალბატონი, ძვირფას საქმელებით გამძღარი და ძვირფას სასმელებით დამთვრალი, მიეცა ღრმა ძილს, ის ფეხაკრფით გამოვიდა სასახლიდან და, როგორც ქურდი, გაიქცა მდინარის იმ ადგილისაკენ, სადაც გაკაშკაშებულ მთვარის მოყვითალო სხივებით განათებულნი ნელ-ნელა და თანასწორად ირხეოდნენ ძვირფასი ნავეები, რომლებშიაც ის არა ერთხელ ხლებია თავის ქალბატონს.

მაგრამ რაცა შუაგზას მიადწია, მან მოი-საზრა, რომ იმ ადგილას, შეიძლება, ვინმე შემთხვევით ხელი შეუშალოს მას განზრახვის აღსრულებაში, ამიტომ მან შესცვალა მიმართულება და გადასწყვიტა გაჰყვეს მდინარის ნაპირს

იმ დრომდღე სანამ არ შეხვდება მას მივარდნილი მოფარებული ადგილი.

დიდხანს იარა მაგრამ ასეთი ადგილი ვერ იპოვა.



შინაური მიმოხილვა.

(დასასრულად.)

III.

როგორც მოგახსენეთ, გასული საუკუნის 80-იან წლებში საწერეთლოში მდ. ყვირილის დაყოლებაზე, ორივე მხრით, მარჯვნივ და მარცხნივ, ამოაჩინეს უმდიდრესი მდინები შავი-ქვისა და იმწამსვე გაჩაღდა იმის მუშაობაც, რადგან სამეტალურგო მრეწველობაში დიდი მოთხოვნილება იყო იმ ეპოქაში მანგანისა, პირველი ხანა, ე. ი., ის დრო, სანამ შარპნიდან ქიათურამდე რკინის გზის შტოს გაიყვანდნენ, მაინცა და მაინც არ იყო ისეთი დიდ მნიშვნელოვანი და საყურადღებო, როგორც მეორე, უკანასკნელი ხანა ამ მრეწველობისა. მაგრამ მაინც პირველშივე ამ მდინების გასაოცარმა სიმდიდრემ მოიზიდა უცხოეთის კაპიტალი და ჩვენი ხალხიც ბუზივით მიიწყდა ამ ახალს საქმეს. ანალიზითაც დამტკიცდა ჩვენებური მდინების უაღრესო მთელს დედამიწის ზურგზე. დაიწყო გაძლიერებული მუშაობა შავი ქვის მდინებისა და ქიათურიდან პირდაპირ მოქონდათ უღებურმებია, ფურგუნებითაც და ცხენებითაც სისტაფონში, ყვირილის რკინის გზის სადგურზე. აქ ქონდათ უფრო შექმნილ მრეწველთა გამოართული ბაქნები, კანტორები, სადაც იღებდნენ შავ-ქვას და ისტუმრებდნენ აქედან რკინის გზით შავ-ზღვამდის და იქიდან კი გზავნიდნენ გემებით უცხოეთში. გაცოცხლდა, როგორც

ყვირილის სადგური, ისე ქიათურის არე-მარე-ათასი მილეთ ხალხი ირეოდა ყვირილის სადგურზე, აღუღდა პატარა დაბის ცხოვრება და ვაჭრობა გამოცოცხლდა. თვით ქიათურის ახლო მახლო სოფლებში ჩინებული სახლები წამოქიმეს, უკეთესად ჩაიცვეს, დაიხურეს და ზემოურმა „ტოტიკმა“, რომელიც სანაქებო მუშაა, თვალეები გამოახილა.

ერთი წლის განმავლობაში 1895 წლამდის ხუთი მილიონიდან ათ მილიონამდის შავი-ქვა გაქონდათ ჩვენი ქვეყნიდან და სალდებოდა უცხოეთში. სამი ქართველი მრეწველი შეიქნა ამ პირველ ხანაში უფრო დიდი ყურადღების ღირსი: ნიკოლოზ დოლობერიძე, გედეონ ჩუბინიძე და პავლე მოსეშვილი ყველას ეგონა, რომ ესენი მილიონერები გახდებოდნენ, მაგრამ ესენი კი არა, მილიონერი შავი-ქვის მრეწველობას ჩვენში ჯერ სულ არავინ დაუბადებია: არც ჩვენებური, არც სხვაგვარის. ნ. დოლობერიძემ, არ ვიცი, რა მიზეზით, ალბათ ნამეტანი გამდიდრებასა თუ შეეშინდა (მეტად „ფრთხილი“ კაცია), მალე გუსტავ ემერის მიყიდა მდინები, მოსეშვილი და ჩუბინიძეც ჩამოშორდა შავი-ქვის მრეწველობას.

შავი-ქვის მრეწველობამ დიდათ დააინტერესა ხაზინაც და 1895 წ. ერთი მიყრუებული კუთხე ჩვენი ქვეყნისა ვიწრო ლიანდაგიანის რკინის გზის შტოთი შეუერთა კავკასიის აქეთა მხარის უმთავრეს გზას, რომელიც მთელს საქართველოს უკავშირებს აღმოსავლეთის და დასავლეთის ზღვებს და ხმელეთს. ამ ახალმა საქმემ ერთად თავი მოუყარა და ერთს საქვეყნო საქმეში ჩააბა ქართველი მუშაკი და მრეწველიც, რომელიც პირველად გაეცნენ სოფლიო ბაზარს, მისი პირობების მდგომარეობას და მნიშვნელობას, სამუშაო ხელფასის აწვევ-დაწვევას, აღებ-მიცემობას, კრიზისებს და ამ ნიადაგზე იძენენ თანდათან გამოცდილებას და ცოდნას.

მთავრობის ნება-დართვით, როგორც ბაქოს მრეწველთ, ისე ჩვენებურს მრეწველთაც ნება მიენიჭათ კრებები მართონ ხოლმე ქ. ქუთაისში და შავი-ქვის მრეწველობის აწრ-

მატებისა და განკარგებისათვის საჯაროთ ითათ-
ბირონ. მთავრობისავე ნება-დართვით დაარ-
სდა ქუთაისში მრეწველების კრებათა აღმა-
სრულებელი ოფიციალური ორგანო—საბჭო,
სადაც იმ თავითვე მოწვეულნი დაარჩეულნი
არაიან მკოდნე, ნიჭიერი და პატიოსანი კაცე-
ბი ამ დიდი საქმის გასაძლოლად.

ამ მრეწველთა კრებებს და მის ორგა-
ნოს ნება აქვს დართული რკინის გზით გატა-
ნის შავ-ქვავზე გადასახადი აიღოს და აღებულ
ფულებს საბჭო ახმარებს შავი-ქვის მრეწველო-
ბის საზოგადო საქმიროებას. ქიათურის არე-მა-
რეზე და იმის მიდამოებში ამ ფულეებით კეთ-
დება და უმჯობესდება გზები, ხიდები, მუშე-
ბის საცხოვრებელი ბინები, გამოყავთ კარგი,
უწყინარი სასმელი წყალი, ინახვენ საავთმყო-
ფოს ამბულატორიით მუშებისა და მრეწველ-
თათვის, მოწვეული ყავთ ხირურგი, მოწყო-
ბილია მუშათა დაზღვევის საქმე, გამართეს
სახალხო თეატრი, პრაკტიკული საითო კურ-
სები, საჯარო ლექციები, მდიდარი და ძვირ-
ფასი აბანო, სასწავლებლები და ეკლესიაც
მალე იქნება, მოაწყვეს ელექტრონის განა-
თება, წაგნთ-საცავ-სამკითხველო, ყინულის
კეთება, ეხმარებიან ქიათურის საურთიერთო
ნდობის საზოგადოებას და, რაც უფრო დიდათ
საყურადღებოა ჩვენთვის, ამ ფულეებით საბჭო
ძალიან ბევრს სტიპენდიანტს ზრდის რუსეთი-
სა და ევროპის საშვალო, დაბალს და უმა-
ღლეს სასწავლებლებში.

აი, ამდენი დიდი სარგებლობა მოიტანა,
ამდენი დიდი მადლი დაატრიალა საქართველო-
ში ამ ერთად-ერთმა არა მაინცა და მაინც
სხვილმა მრეწველობამ. თამამად შემოძლია აქ
ვთქვა, რომ არა თუ საქართველოში, მთელს
კავკასიაში, ნავთის წარმოების გარდა, არ
არის არც ერთი საქმე, როზელიც საქვეყნო
სარგებლობით, დოვლათის დატრიალებით და
მადლით შეედარებოდეს შავი-ქვის წარმოების
საქმეს.

ქიათურაში რკინის გზის გაყვანისთანავე
რასაკვირველია, ერთი ორათ, ერთი სამათ
იმატა შავი-ქვის, როგორც მადნებიდან გამო-

ტანამ, ისე რკინის გზით გატანამაც. ყველაზე
უფრო ბევრი შავი-ქვა დაამუშავეს და გამო-
იტანეს მადნებიდან 1900 წ. 40 მილიონზე
მეტე, 1906 წ. 50 მილიონზე და 1909 წ.
36 მილიონზე მეტი¹⁾. გასაოცრად დავარდა
მადნებში მუშაობა 1908 წ. ამ წელს მადნე-
ბში შვიდი მილიონიც ვერ დაიმუშავეს. რკი-
ნის გზით გატანა კი წარმოებდა ამ ნაირათ:

1900 წ.	. . .	28.698.357 ფუთი
1906 „	. . .	30.895.905 „
1907 „	. . .	33.530.547 „
1909 „	. . .	35.088.672 „

ეს ციფირები ნათლად უჩვენებენ მკითხველს
რო შავი ქვის მრეწველობა ძალიან წარმა-
ტებაში ყოფილა. მაგრამ ნამდვილად კი ამ
უქანსკენელი ორი წლის განმავლობაში მას
თავზე დაატყდა კრიზისი, რომელმაც შეხუთა
შავი-ქვის დამუშავება ნამეტურ მადნებში და
უქიდურეს მდგომარეობაში ჩააგდო ქართველი
მრეწველები და მუშები.

ციფირები თუმცა გვიჩვენებენ შავი-ქვის
მრეწველობის წარმატებს, მაგრამ ეს იმიტომ,
რომ შავი-ქვას თითქმის სულ მუქთად ყიდი-
დენ ყელამდი დავალიანებული და გაძვალ-
ტყავებულნი ქართველი მრეწველები ქია-
თურაში უცხოელებზე, რომელნიც გატა-
რებით ეზიდებოდენ შავ-ქვას საზღვარ-გარეთ,
რომ ბაზარი არ წასვლოდათ ხელიდან, რად-
გან ჩვენებურს შავ-ქვას დიდს კონკურციას
უწყევს სოფლიო ბაზარზე ბრაზილიიდან და
ბრიტანიის ინდოეთიდან გამოტანილი შავი-ქვა.

სტატისის გაქიანურებისა რომ არ მეშო-
ნოდეს, აქვე წარმოვადგენდი ცხრილს 1900
წლიდან შავ-ქვავზე ფასების აწვე-დაწვევისას,
მაგრამ საყურადღებოდ მაინც ვიტყვი, რომ
1907 წ. 16—16¹/₂ პენსი (პენსი=4 კაპ.)
იყო, 1908 და 1909 წ. ფასი ჩვენებური შავი
ქვისი დავარდა 9—8 პენსამდე.

იდგილი რომ ნებას მაძლევდეს, მე ვუჩვე-
ნებდი მკითხველს აგრეთვე იმასაც, თუ რა
დიდი განსხვავება სუფევს ჩვენებურს, ბრაზი-
ლიის და ინდოეთის შავი ქვის წარმოების სა-

¹⁾ იხ. „Статистика Марганцового дѣла,“ за
1909 г. შავი ქვის მრეწველო: საბჭოს გამოცემა.

ქმეში. ეგ განსხვავება დაბადა ქიათურის რკინის გზის შტოზე დაწესებულმა გასაცვიფრებელმა ტარიფმა. ისტორიამ არ იცის არსად ჯერ ასეთი საარაკო ტარიფი. ერთს ფუტს ჩვენებურს შავ-ქვავზე ქიათურის გზის—მშ ვერსტის გადატანაში ჩვენებური მრეწველი პირველად იხდიდა 10 კ., მერე დაუკლეს და იხდიდა 7,50 კაპ. ახლა კი იხდის 5¹/₂-ს კაპ. აი, ამ უკანასკნელმა გარემო ბამ გააცხოველა რკინის გზით შავი-ქვის გატანა უცხოეთში და, იმედია, ბაქნებზე დამზადებული შავი-ქვაც მალე დაიკლებს. მაგრამ ნორმალურ მდგომარეობამდის ტარიფის მიყვანას მაინც არაფერი ეშველა, რასაც იმ თავიანთი ცდილობს მრეწველთა საბჭო.

სხვა მიზეზებიც ბევრია, რომელმაც ჩვენებური შავი-ქვის წარმოების საქმე ძალიან ცუდსა და აუტანელს მდგომარეობაში ჩააგდო. და იგი, თუ ამაუტანელს მდგომარეობიდან როგორმე არ გამოვიდა, მიუცილებლად, ჩვენებურების ხელიდან სამუდამოდ წაევა და უცხოელებს ჩაუფარდებათ ხელში მთლად წარმოება და მისი ოფიციალური ორგანო—საბჭოც.

ამას წინათ „კოლხიდაშიაც“ იყო მოხსენებელი, რომ უცხო ექსპორტერებმა ჩვენებურს ადგილის მეპატრონეებთან, მთელი მამულის შეყიდვის შესახებ მოლაპარაკება გამართეს. ატყდა „კოლხიდაში“ ჰუბლიციტთა სამართლიანი გოდება ამ საერო სიმდიდრის ხელიდან დაკარგვისა ისე, როგორც საქართველოს ტერიტორიის გაყიდვის შესახებ იყო შარშან და შარშანწინ ატეხილი ბაასი. არ ვიცო, რით გათავდება ეს საქმე აქ, ქიათურაში. ეს კი ვიცი, რომ ბაქოში ამას წინათ ინგლისის კაპიტალისტებმა, რომ ხელში ჩაიგდეს ბევრი კავკასიელ ნაფთის მრეწველთა ზავოდები, სომხის ბურჟუაზულმა პრესამ²⁾ დიდი განგაში ასტეხა, რომ ვიღუპებით, ჩვენი უპი-

²⁾ საყურადღებოა, რომ სომხებს მხოლოდ და მარტო კლერიკალური და ბურჟუაზული შოკინისტური პრესა აქვთ, და ერთი ორგანოც არ გააჩნიათ არსად სოციალისტური. ალბად, ჩვენებურების გულ-გასახეთქით თუ იტყვიან აქ.

რატესობა კავკასიის ვაჭრობა-მრეწველობაში უცხოელებს უნდა დაფუთოთო და, აი, უყურეთ, ქირთველებმა და თათრებმაც კი გამოიღვიძეს და ამ ახალს ასპარეზზე გამოვიდნო... მაგრამ პრესას ვინ უგრო ყური. გაყიდეს ზავოდები, ვისაც გასასყიდათ უნდოდა. და ასე იქნება ჩვენშიაც, უეჭველად, რადგანაც... გვიან ვილკიძებთ...

„ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩდება.“

ხომლელი.



კარგი ყველგან კარგია!

გზსულ კვირაში ტრაგეულად გადაიცვალა ქაქეთისში მცხოვრები ურას ხუტუნა რაინაშვილი, რომელიც მეტად ღარიბი და წარიღი ცოლშვილის მატრონი გაცა იყო. იგი უცბადურათ ბაღკონიდან გადმოკარდნია და იქვე გადაცვლილა. ასეთმა ტრაგეულმა სიკვდილმა, უკიდურესმა სიღარიბემ და უმატრონით დაყრილმა წვილამ ცოლშვილმა შემამწუნებელი ჩაბეჭდილება მოახდინა ერთ მორწმუნე კბრელებზე, რომლებმაც იქვე, ბ. რაბინის წინადადებით, შეაგროვეს 2000 მანეთამდე ფულადი და ბაკუბიცი დაინაწილეს აღსაზრდელათ. სხვათა შორის ცნობილია ეფო ენუქაშვილიც ორი ათასი მანეთის გირაუნობის ფურცელი დახაა მიცვლებულის რხედრის წინ და განაცხადა, რომ მან ამატიკას იფული ობლებს.

კარგი ყველგან კარგია, სიდაც უნდა მოხდეს იგი! გული რაღაც სიამეს გრძნობს, რაცა ასეთ დეოიურ შებრლებას და მოწყობას ხედავს. გინდა ირწმუნო, რომ კაცობრიობას მარტო ბრძოლა არსებობისათვის არ ამობრავებს, რომ ნიჭებს ნაანდერძევი სრესა და უღელტა უძღურთა და ბედისკან დაჩეგრულთა არ არის და კარც კახ-

დებს ადამიანის ცხოვრების პრინციპით...

საქებაარა და სსსიქადულო ურბების საქციე-
ლი ამ შემთხვევაში. სამკვლავითა და მისხამაჯი
იგი ქრისტიანებისაგან და სამეტურ ქრისტიან
სამკვლავლებისაგან, რომელსაც ბევრი დარაბა
მოძქევა ჭეკის თავის შიდას, რომლებსაც ვერა-
ფრათ ესმარება.

გვერდის სამარხი კასისა დასრუბით მაინც
დაკვებმარბოდათ ერთი შეორეს, მაგრამ მგონაა,
ამ იმედმატ გვერდითუნოს, რადგან წესების და-
ტვირების საშველი არ დადგა!

შეტი უფლებებობა სადა წავა, რომ ადა-
მადამანმა საკუთარი თუელი ვერ დახარჯო გაჭარ-
ვებულ მოძქეის დასახმარებათ!...



საეკლესიო კითხვის შესახებ.

საეკლესიო კითხვის საქმე ბევრ-
გან ჩვენში ცუდად არის დაყენებული. უმე-
ტესი ნაწილი ჩვენი საეკლესიო მკითხველებისა
კითხულობენ ხმა-დაბლა, ან ხმა-მალლა, მაგრამ
ისე ჩქარა, რომ არაფრის გაგება და გარჩევა
არ შეიძლება. ეს ნაკლი მედიათონებს გარდა
ემჩნევით დიაკვნებს და მღვდლებსაც, მაგ.
კვერეკსების წარმოთქმის დროს ხშირად ბოლოს
გარდა „უფლისა მიმართ ვილოკოთ“, ანუ
„უფლისა მიმართ ვითხოვოთ“ აღარაფერი ისმის,
ისე, რასაც კვერეკსებში გამოვიითხოვოთ
ლეთისაგან ან წარმოთქმულია „უფალო შეგვი-
წყალებ“-ის და მოგვმადლე უფალო“-ს გალო-
ბაში ან და წარმოთქმება თავის დროზედ,
მაგრამ მოჩქარებულად და გაუგებლად. ასამე-
ღლებელის წარმოთქმის დროსაც ისე ჩქარო-
ბენ ზოგიერთი მღვდლები, რომ „და უკუნითი

უკუნისამდე“-ს გარდა ველარაფერს გაიგონებ.
ამნაირვე ნაკლი კითხვისა ხშირად ემჩნევით
მათ დანარჩენ შემთხვევებშიაც. მეორეს მხრით
ასეც ხდება, რომ ზოგიერთი მკითხველები
ხმა-მალლა და გაგებულდაც კითხულობენ, მა-
გრამ მაგიერად კითხვის კილოს სცვლიან, სა-
ეკლესიოს ნაცვლად უბრალო საეროს, ანუ
მსოფლიურს ხმარობენ. ეს ნაკლი უფრო ემ-
ჩნევით მღვდლებს მაგ. ნათვლის, გვირგვინის
კურთხევის, მიცვალბულის ანდერძის აგების
და სხვა მღვდელ-მოქმედების შესრულების
დროს.

ვინაიდან საეკლესიო კითხვას აქვს გან-
საკუთრებული ხასიათი და საკუთარი თვისე-
ბები და მასთანავე მისი შეცვლა უბრალო სა-
ერო, მსოფლიურს კითხვაზეც შეუძლებელია,
ამისათვის საჭიროა მოკლეთ განმარტოთ,
თუ როგორი უნდა იყოს საეკლესიო კითხვა,
რომ იგი თავის თვისებებსა და პირობებს ეთან-
ხმებოდეს? საეკლესიო კითხვაში განირჩევა ორი
მხარე. პირველს მხარეს შეადგენს ის პირო-
ბები, რომლებიც ითხოვებიან ყოველი წესიერი
უბრალო კითხვის დროს, ესენი არიან: სიმ-
კვირცხლე, გარკვეულობა, რომელიც საერ-
თოდ დამოკიდებულია მიჩვევა-ვარჯიშობაზედ
და სიტყვების მკაფიო გამოთქმაზედ, შეგნე-
ბულობა რომელიც დამოკიდებულია წანაკი-
თხის მნიშვნელობის შეგნება-შეთვისებაზე და
ბოლოს გრძნობიერად კითხვა, რომელიც აღ-
ძრავს მსმენელებში რამოდენიმედ მანც იმ აზ-
რებსა და გრძნობებს, რომლებაც სურს აღ-
ძრას მათში წმ. ეკლესიამ. ამ პირობების წინა-
აღმდეგ წასვლა საეკლესიო კითხვის დროს,
რასაკვირველია, შეუძლებელი და მოუხერხებე-
ლია. მაგრამ, ამას გარდა, საეკლესიო კით-
ხვას აქვს საკუთარი მხარეც, ესე იგი განსა-
კუთრებული თვისებები. ვინაიდან საერო კით-
ხვასაერთოთ მჯელობითია, საქმიანია, მხატვრუ-
ლია, საეკლესიო კი სარწმუნოებრივი, სავედრე-
ბელი, გულითადი, რომელმაც ადამიანში უნ-
და აღძრას და განავითაროს სარწმუნოებრივი
გრძნობები, ამისათვის საეკლესიო კითხვის
მეორე მხარეს, ანუ განსაკუთრებულს თვისე-

ბებს (გარდა სვინაქსარებისას, წმინდანების ცხოვრების კითხვისა, რომლებიც მოთხრობითი კილოთი წაიკითხებიან) შეადგენენ კრძალულებს, ღმობიერება და საეკლესიო კილო კითხვისა. იგი უნდა იყოს კრძალულებითი მისთვის, რომ სრულდება ღვთის სახლში და საქმე აქვს ღვთის სიტყვასთან, აგრეთვე მისთვის, რომ მკითხველი აუწყებს მსმენელებს ღვთის ნებას და აღავლენს მათს გულსა და გრძობებს ღვთისადმი. იგი უნდა იყოს ღმობიერი მისთვის, რომ გამოხატავს ყოველად მოწყალე ღვთის მადლის შეხებას მორწმუნის სულთან, ამ მადლის სიტკბოების გრძობას, ჩვენი უღირსების შეგნებას, ღვთის მოწყალეობის გადმოსვლას ჩვენზედ, ღვთისადმი ჩვენს ღტოვილებას და მასში განსვენებას და სხ. მას უნდა ჰქონდეს კითხვის კილო საეკლესიო, განშვენებული, რადგანაც ასე გადმოგვცა იგი წმ. ეკლესიამ ძველს ეკლესიაში ფსალმუნებს კი არ კითხულობდნენ, უფრო ჰგალობდნენ. დავითნის კანონების ნაწილები ახლაც იწოდებიან ანტიფონებად, რადგანაც ტიბიკონის ჩვენებით განწესებულია მათი გალობა. მხოლოდ ბოლო დროს შემოიღეს დავითნის კითხვა გალობის მაგიერ. რაც შეეხება კანონებს, სტიქარონებს, ტროპარებს, კონდაკებს და სხ., რომელთაც ძველს ეკლესიაში ჰგალობდნენ, მათი გალობა შემდეგში შეიცვალა განსაკუთრებულ, საეკლესიო კითხვაზე. სახარებას, სამოციქულოს და საწინასწარმეტყველოს უწინაც იმ საეკლესიო, განშვენებული და შესაფერი კილოთი კითხულობდნენ, როგორც ახლა კითხულობენ მათ კარგი დახელოვნებული მკითხველები. ესევე ითქმის სხვა ლოცვების შესახებ, რომლებიც კი იხმარებოდნენ და იხმარებიან წმ. ეკლესიის მიერ, ყველას მათ საფუძველათ უდევთ საღმრთო წერილის შინაარსი და იკითხებოდნენ საეკლესიო კილოთი და ამიტომაც ახლაც შეეფერება მათ განსაკუთრებული, საეკლესიო კითხვა და არა უბრალო, საერო, მსოფლიოური. ბოლოს ღვთის ქება-დიდებაში ქვეყნიურმა ეკლესიამ უნდა წაბადოს ზეცურს ეკლესიას, სადაც ღვთის დიდება სრულდება

გალობით. აი რას ამბობს ამის შესახებ წმ. მოციქული იოანე ღვთის-მეტყველი, რომელსაც ღმერთმან აჩვენა, რაც სრულდება ზეცაში, „ხმა გაჰვიდა საყდრით, რომელი იტყოდა აქებლით ღმერთსა ჩვენსა ყოველნი მონანი მისნი... და მესმა ხმა ვითარცა ერისა მრავლისა და ხმა ვითარცა წყალთა მრავალთა და ვითარცა ხმა ქუხილთა ძლიერთა, რომელნი იტყოდეს ალლილუიასა“ (გამოცხ. 19, 5-6).

აი ის პირობები, რომლებითაც უნდა განსხვავდებოდეს საეკლესიო კითხვა. მაშასადამე, სცდებიან ის ჩვენი საეკლესიო მკითხველები, რომლებიც არ ცდილობენ ღვთისმსახურების დროს იკითხონ გასაგებად, კრძალულებით, ღმობიერად და საეკლესიო კილოთი.

მაგრამ საეკლესიო კითხვის საქმე რომ წესიერად წავიდეს, ამისათვის მარტო მისი ცუდი და კარგი მხარეების ჩვენება არ კმარა, საჭიროა მივიღოთ სხვა საიმედო ზომებიც, ამიტომ კი აუცილებელია საეკლესიო მოსამსახურეთა მომავალი კანდიდატები კარგი და გამოცდილი ხელმძღვანელების მეთაურობით დახშირი ვარჯიშობით თავიდანვე მიეჩვივნენ წესიერს საეკლესიო კითხვას. ეს კი შესაძლებელი იქნება მაშინ, როდესაც სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში მეტი ყურადღება მიექცევა ამ მნიშვნელოვანს საგანს, სადაც თვითონ მღვდლებიდან (მოდღერებიდან) დაწყებული უკანასკნელს მკითხველებამდე სამაგალითოდ უნდა კითხულობდნენ და ამნაირად მოწაფეებს წესიერს კითხვას აჩვენდნენ. სასურველია აგრეთვე ხსენებულს სასწავლებლებში ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება მიექციონ გალობის მასწავლებლებმაც, რომელთაც გალობის ცოდნაც და კითხვის ღირსება-ნაკლულებანების ცნობაც შეძლებას მისცემთ, ხელი შეუწყონ მოწაფეებს ამ საქმის წესიერად დაყენებაში. ჩვენ კი მღვდლები, დიაკვნები და მედავითნეები უნდა ვეცადოთ, რომ ღვთის მსახურების დროს ვკითხულობდეთ წესიერად, საეკლესიო კითხვის თვისებების და პირობების

თანახმად, რათა მადლისა და მოწყალებისა წილ, წყვეა და საყვედური არ დაეიმსახუროთ ლეთისაგან.

მდ. სერგი მაჭავაძე.



ჩვენებური სამედიატორო სამართალი.

ჩვენებურ სამედიატორო სამართალს მიუღებოდნა და პირუთენელობა აკლია; ჩვენებური მედიატორები იმას კი არ ცდილობენ დანაშაულებს სცნან და შესაფერი სახელი უწოდონ, არამედ იმას, რომ მოცილეთა შორის გამხდარი ნახეთქი, შელესონ, შეალამაზონ და ორივე მოპირდაპირე ერთნაირათ გაამტყუნონ ან გაამართლონ. უმეტეს შემთხვევაში მართლაც ორივე მოპირდაპირე მხარე დანაშაულებს, მაგრამ დანაშაულობაც არის და დანაშაულობაც. საქმე იმაშია, რომელმა მხარემ გამოიწვია უთანხმოება, რომელმა დაარღვია მოქმდის უფლება და შეებლალა მისი პიროვნება. ავიღოთ მაგ. ახლოხან მომხდარი სამედიატორო ვასამართლება, რომლის განაჩენი მოთავსებულია ჩვენი გაზეთის № 16-ში. აქ სამართლიანათ დაგმობილია მ.მ. ბ. ვაშაძესა და გ. ბარათაშვილის შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება, მაგრამ გამოურკვეველია რომელი მათგანია მიზეზი ურთიერთ-შორის ამ სამარცხვინო დამოკიდებულობის? ჩვენი აზრით სწორეთ ეს არის ის ნასკვი, რომელიც უნდა გამოეხსნა მედიატორებს. საქმე პირველ მიზეზშია, პირველ შეხება ა და უფლების დარღვევაში და ამიტომ

მთელი დანაშაულიც მას ედება, ვინც ეს მიზეზი შეიქნა. კიან რომ ფეხს დაადგამ, რა თქმა უნდა, გაფართობდება, მაგრამ ამ ფართობის მიზეზი თვით კია კი არაა, არამედ ის, ვინც მას ფეხი დაადგა. მოქმდის უფლებას რომ შეეხები რა საკვირველია, რეაქციას გამოიწვევ მასში და ეს რეაქცია იმდენათ სამართლიანია, რამდენათაც უსამართლო და შეუწყნარებელია სხვისი უფლების დარღვევა. მედიატორებს რომ საქმისთვის ამ მხრით შეეხებოდნ, ადვილათ დაინახავდენ, თუ ვის ედება ბრალი მ. ვაშაძეს, რომლის უფლებას შეადგენს ჭათურაში მდმდელ-მოქმედება და ეკლესიის დაარსებაზე ზრუნვა, თუ მ. ბარათაშვილს, რომელმაც დაურღვია მას ეს უფლება? „ვისაც რაი ბედმან მისცა, დასჯერდეს და მას უბნობდეს“-ო, ამბობს უკვდავი შოთა, და სწორეთ ეს მარგალიტი სიტყვები უნდა ყოფილიყო ალფა და ომეგა დასაწყისი და დასასრული მედიატორეთა განჩინებისა.

ხელი.

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მკვდლიძე.
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადება.

ამაღლების საზოგადოების მამასახლისი ამით აცხადებს, რომ სოფ. ამაღლებაში, სადაც ახლა ყოველ კვირას ბაზრობაა, წელიწადში ერთხელ 15-ამ დამღვ მარიობის-თვემდი მთავობის ნებართვით მოხდება საზოგადო დიდი ბაზრობა.

„შინაურ საქმეების“-ს რედაქციაში იყიდება:

კლიროვის უწყებები ახალი ფორმისა და ყველა უწყებები (Вѣдомости) წლიური საბლანოჩინო ანგარიშებისათვის. ბლანკები „ქმობის“ გამოცემა და ფულიც მას ეკუთვნის. ფასი ბლანკებისა—რწყვილი 5 კაპ. ვინც ორასზე მეტს დაიბარებს—4 კაპ.

ხვედრი ფული უნდა გაიოგზანოს შემდეგი ადრესით: Кутаисъ, Правленіе религіозно Просвѣтительнаго „братства“.

Ольденбургская д. № 5.

—>>> (Типографія Хеладзе въ Кутаисѣ.) <<<—